საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2018 წლის 08 ოქტომბერი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №3/18

მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- --, -- --, -- --, -- --, წარმომადგენლის -- -- და -- --, 2018 წლის 05 იანვრის №-- საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად 2018 წლის 26 ივნისს მომზადებული №3/18 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 08 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორები მიუთითებენ, რომ მოსამართლემ პატიმრობაში მყოფი მხარის მიმართ მიიღო უკანონო დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთან, მიიღო უკანონო განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებაზე უარის თქმის შესახებ.

საჩივრის ავტორთა განმარტებით მოსამართლე -- -- ხელოვნურად გააჭიანურა საქმის განხილვა.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2016 წლის 07 მარტს -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართეს -- --, -- -- (კანონიერი წარმომადგენელი -- --), -- --, -- -- და -- -- მოპასუხე -- -- მიმართ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის მოთხოვნით.

2016 წლის 09 ივნისს -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შეგებებული სარჩელით მიმართა -- -- მოპასუხეების - -- --, -- --, -- --, -- -- და -- -- მიმართ სამკვიდრო მოწმობების ბათილად ცნობის, ნასყიდობის და ჩუქების ხელშეკრულებების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

-- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 13 ივნისის განჩინებით (მოსამართლე -- --) მოსარჩელე -- -- უარი ეთქვა შეგებებული სარჩელის განსახილველად მიღებაზე.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა -- --.

-- სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 30 აგვისტოს განჩინებით (მოსამართლეები - -- --, -- --, -- --) -- -- კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 13 ივნისის განჩინება შეგებებული სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

საქმეთა განტვირთვის მიზნით, სამოქალაქო საქმის №-- სხვა მოსამართლისათვის გადაცემის თხოვნით -- საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს მოსამართლე -- -- განცხადებით მიმართა 2016 წლის 20 სექტემბერს. საქმე მოსამართლე -- -- განსახილველად გადაეცა 2016 წლის 23 სექტემბერს.

-- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილებით (მოსამართლე -- --) სამოქალაქო საქმეზე №-- -- --, -- --, -- --, -- -- და -- -- სარჩელისა გამო მოპასუხე -- -- მიმართ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ; -- --, -- --, -- --, -- -- და -- -- სარჩელი მოპასუხე -- -- მიმართ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

მოსარჩელეთა წარმომადგენელმა აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას საჩივრით მიმართა 2017 წლის 20 იანვარს.

-- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 23 იანვრის განჩინებით (მოსამართლე -- --) მოსარჩელეთა წარმომადგენლის საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე მიღებულ იქნა განსახილველად.

-- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 10 აპრილის განჩინებით (მოსამართლე -- --) -- --, -- --, -- --, -- -- და -- -- საჩივარი -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 11 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა; ძალაში დარჩა -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 11 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

-- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 11 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2017 წლის 10 აპრილის განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრეს -- --, -- --, -- --, -- -- და -- --.

-- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 29 მაისის განჩინებით (მოსამართლე -- --) ხარვეზის შევსების შედეგად სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

-- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 28 მარტის განჩინებით (მოსამართლეები - -- --, -- --, -- --) -- --, -- --, -- --, -- -- და -- --სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 11 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2017 წლის 10 აპრილის განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ და საქმე განსახილველად დაუბრუნდა პირველი ინსტანციის სასამართლოს.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1-ე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული

კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10}-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ ა) გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით; ბ) სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის; გ) გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები; დ) არ არსებობს სარჩელის აღძვრის წინაპირობები.

დადგენილია, რომ -- საქალაქო სასამართლოში 2017 წლის 11 იანვარს 14:00 საათზე დანიშნულ სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე არ გამოცხადდნენ მოსარჩელეები -- --, -- --, -- --, -- --, და -- --. სატელეფონო აქტით დასტურდება, რომ მოსარჩელეების წარმომადგენლებს -- -- და -- -- სასამართლო სხდომის დღის შესახებ ეცნობათ 2016 წლის 21 ნოემბერს სატელეფონო შეტყობინების მეშვეობით. მნიშვნელოვანია, რომ -- -- (მოსარჩელე მხარის წარმომადგენელი), -- -- (მხარე),-- -- (მხარე),-- -- (მოსარჩელე მხარის წარმომადგენელი) 2017 წლის 11 იანვარს იყვნენ დაკავებულები და ისინი ობიექტურად მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას დასწრებოდნენ სასამართლო სხდომას. აქვე აღსანიშნავია, რომ მხარეებს საქმის განხილვის გადადების შუამდგომლობით სასამართლოსათვის არ მიუმართავთ და არც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზები უცნობებიათ სასამართლოსთვის (მათ შორის არც -- --, რომელიც ასევე მოსარჩელეთა წარმომადგენელი იყო). ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ

არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული დამაბრკოლებელი გარემოებები.

რაც შეეხება, მოსამართლე -- -- მიერ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ მიღებული განჩინების კანონიერების საკითხს, აღნიშნულთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასებების შედეგად, გამოტანილი გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერებაზე. მათი ამ მხრივ შეფასება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

წინამდებარე საჩივრის ავტორი ასევე, მიუთითებს მოსამართლის მიერ საქმის განხილვის გაჭიანურების ფაქტზე. მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია შეფასდეს საპროცესო ღონისძიებები, რომლებიც განახორციელა მოსამართლემ მხარეთა მოთხოვნის შესაბამისად და მოსამართლის ბრალეულობა კონკრეტულ სავარაუდო გადაცდომასთან მიმართებაში.

ამასთან, იყო თუ არა საქმის განხილვის ვადები არაგონივრული საინტერესოა შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სასამართლო პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ, ეს კრიტერიუმებია: 1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, 55; Papachelas v. Greece, 39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, 72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, 63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, 150); 2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, 103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, 61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას; 3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece; 93; Tiece v. San Marino; 31; Suermeli v. Germany, 129).

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების

გათვალისწინებით (Frydlender v. France, 43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany; 98).

დადგენილია, რომ საქმე მოსამართლე -- -- მოხსენებითი ბარათის საფუძველზე განსახილველად გადაეცა 2016 წლის 23 სექტემბერს. მოსამართლემ დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანა 2017 წლის 11 იანვარს. შესაბამისად, საქმე მოსამართლე -- -- წარმოებაში იმყოფებოდა 3 თვე და 18 დღე. ამ პერიოდის მანძილზე საქმეზე ჩაატარა 2 სხდომა.

აღსანიშნავია, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისა და საჩივრის განხილვის ვადას საპროცესო კანონმდებლობა პირდაპირ არ ადგენს. საქმის განხილვის ვადისა და საქმეზე განხორციელებული ღონისძიებების გათვალისწინებით მოსამართლის მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი არ დასტურდება.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2018 წლის 08 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №3/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი